ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 661

“20” დეკემბერი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი № 37-ში მდებარე 3 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.15.04.001.032) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ელგუჯა გუბელიძისთვის (პირადი № 01508066025) გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი N37-ში მდებარე 3 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.04.001.032) პირდაპირი განკარგვის წესით ელგუჯა გუბელიძისთვის (პ/ნ. 01508066025) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 27 ნოემბრის №24.2003.2228 განკარგულებით გათვალისწინებული - ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი № 37-ში მდებარე 3 კვ.მ. ფართობის უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.15.04.001.032) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით ელგუჯა გუბელიძისთვის (პირადი № 01508066025) გადაცემაზე, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 900 (ცხრაასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე